

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“გ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„26“ 12-----“ 2014 წელი

ეგზ. № 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში *აშ 51/00*

2014 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	4
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა.....	6
შემოსულობები.....	7
გადასახდელები	8
ნაშთის გამოყენება	9
ბიუჯეტის შესრულება.....	9
ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით	11
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	12
პრიორიტეტების დოკუმენტი	12
ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვა.....	13
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	15
ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვები	16
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.....	17
სარეზერვო ფონდი	19
პროგრამული ბიუჯეტი.....	20
შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	21
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	22
აუდიტის დასკვნა	23
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	23
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	23

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.
- ✓ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობის და მართლზომიერების შეფასება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 56 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 17 თემში. მუნიციპალიტეტის ფართობია 423.7 კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 76.2 ათასს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ზესტაფონი.

¹ წყარო: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი <http://zestaphoni.com/aboutzestafoni.html>

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტი აწესრიგებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ 2012-2013 წლებში მასზე დელეგირებული იყო შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ვეტერანთა დაკრძალვა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 11 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყარო იყო ადგილობრივი ბიუჯეტი. ასევე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში იყო 4 შპს. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში: გამგეობაში, საკრებულოში, ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულია 1034 ადამიანი.

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი საფუძვლებია „საქართველოს კონსტიტუცია“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“² და სხვა ნორმატიული აქტები.

² კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, რომლის მიხედვით შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა 6 991.1 ათასი ლარით.

2013 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვრა 6 843.2 ათასი ლარით.

2012-2013 წლებში დამტკიცებულ ბიუჯეტებში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ: 2012 წლის ბიუჯეტში შევიდა 12 ცვლილება, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტში - 9. ცვლილებები განპირობებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასახვით, თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთის განაწილებით და ზოგიერთ შემთხვევაში საბიუჯეტო მუხლებსა და პროგრამებს შორის თანხების გადანაწილებით.

ცვლილებების გათვალისწინებით 2012-2013 წლების ბიუჯეტები განისაზღვრა შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლებით:

შემოსულობები

2012 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13850.4 ათასი ლარით, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტის ანალოგიური მაჩვენებელი - 12030.4 ათასი ლარით.

ცხრილი № 1

ათას ლარებში

დასახელება	2012	2013	ჯამი
შემოსულობები	13850.4	12030.4	25880.8
შემოსავლები	13634.3	11980.4	25614.7
გადასახადები	3641.0	2110.0	5751.0
გრანტები	8908.5	8834.6	17743.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	4181.1	3423.2	7604.3
მიზნობრივი ტრანსფერი	197.2	240	437.2
სპეციალური ტრანსფერი	4530.2	5171.4	9701.6
სხვა შემოსავლები	1084.8	1035.8	2120.6
არაფინანსური აქტივების კლება	214.2	50.0	264.2
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	1.9	0	1.9
ვალდებულებების ზრდა	0	0	0

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012 წელს შემოსავლები შეადგენს შემოსულობების 98%-ს, ხოლო 2013 წელს - 99%-ს. არაფინანსური აქტივების კლება 2012 წელს განსაზღვრული იყო მხოლოდ 214,2 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს 50 ათასი ლარით. ვალდებულებების ზრდა ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული არ არის, ხოლო ფინანსური აქტივების კლება გათვალისწინებულია მხოლოდ 2012 წელს 1,9 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავლების ფორმირების წყაროა გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები. საგადასახადო შემოსავლებმა 2012 წელს 3641 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია და შეადგენს 2110 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს გრანტები, კერძოდ გრანტის სახით მიღებულმა თანხებმა 2012 წელს 8908.5 ათასი ლარი შეადგინა, მთლიანი

შემოსავლების 65%, ხოლო 2013 წელს - 8834.6 ათასი ლარი, მთლიანი შემოსავლების 74% შეადგინა.

გრანტები მოიცავს გათანაბრებით ტრანსფერს, რომელსაც მუნიციპალიტეტი ფინანსური დახმარების სახით იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რადგან სხვა შემოსავლების სახით მიღებული თანხები არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო გადასახდელების დასაფინანსებლად. 2012 წლის ბიუჯეტში გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 4181.1 ათას ლარს, ხოლო 2013 წელს შემცირებულია და შეადგენს 3423.2 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტი ასევე იღებს მიზნობრივ ტრანსფერს სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად. 2012 წელს აღნიშნულმა თანხამ 197.2 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2013 წელს გაიზარდა 240 ათას ლარამდე.

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოფა თანხები სპეციალური ტრანსფერის სახით. 2012 წლის ბიუჯეტით სპეციალური ტრანსფერი გათვალისწინებულია 4530.2 ათასი ლარის, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტით - 5171.4 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლები მოიცავს პროცენტის სახით მიღებულ შემოსავლებს, რენტას, მოსაკრებლებს, ჯარიმებს, სანქციებს, საურავებს, საქონლის ან მომსახურების რეალიზაციას. სხვა შემოსავლების სახით მისაღები თანხები 2012 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმით განისაზღვრა 1084.8 ათასი ლარით, ხოლო 2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 1035.8 ათასი ლარით.

გადასახდელები

ცვლილებების გათვალისწინებით 2012-2013 წლების დაზუსტებული ბიუჯეტების გადასახდელები განისაზღვრა შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლებით:

დასახელება	2012	2013	ჯამი
გადასახდელები	16959.5	13381.3	30340.8
ხარჯები	10081.2	8208.6	18289.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	6780.3	5060.8	11841.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების კლება	98.0	111.9	209.9

2012 წლის ბიუჯეტში ხარჯები შეადგენს 10081.2 ათას ლარს, მთლიანი გადასახდელების 59%-ს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 6780.3 ათას ლარს, მთლიანი გადასახდელების 40%-ს, ხოლო ვალდებულებების კლება განსაზღვრულია 98 ათასი ლარით, რაც მთლიანი გადასახდელების 1%-ია.

2013 წლის ბიუჯეტში ხარჯები შეადგენს 8208.6 ათას ლარს, მთლიანი გადასახდელების 61%-ს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 5060.8 ათას ლარს, მთლიანი გადასახდელების 38%-ს, ხოლო ვალდებულებების კლება განსაზღვრულია 111.9 ათასი ლარით, რაც მთლიანი გადასახდელების 1%-ია.

ნაშთის გამოყენება

მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების დაზუსტებული ბიუჯეტების გადასახდელები აღემატება შესაბამისი წლის მთლიან შემოსულობებს. უარყოფითი მთლიანი სალდოს დასაბალანსებლად გათვალისწინებული იქნა თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთის გამოყენება. 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ნაშთის გამოყენება 3109.1 ათასი ლარის, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტში - 1350.9 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის შესრულება

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტები შესრულდა შემდეგი მაჩვენებლებით:

დასახელება	2012				2013			
	1	2	3	(3/2)*100	1	2	3	(3/2)*100
	გეგმა	დაზუსტება	ფაქტი	შესრულების %	გეგმა	დაზუსტება	ფაქტი	შესრულების %
შემოსულობები	6991.1	13850.4	14526.7	105%	6843.2	12030.4	12100.9	101%
შემოსავლები	6841.1	13634.3	14288.1	105%	6793.2	11980.4	12053.9	101%
გადასახადები	1600.0	3641	4012.1	110%	2110.0	2110	2091.8	99%
გრანტები	4391.1	8908.5	8908.5	100%	3663.2	8834.6	8570.3	97%
სხვა შემოსავლები	850.0	1084.8	1367.5	126%	850.0	1035.8	1391.8	134%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	214.2	236.4	110%	50.0	50	47	94%
ფინანსური აქტივების კლება	0	1.9	2.2	116%	0	0	0	
გადასახდელები	6991.1	16959.5	16284.9	96%	6843.2	13381.3	11385.3	85%
ხარჯები	6490.7	10081.2	9649.2	96%	6526.1	8208.6	7482.8	91%
არაფინანსური აქტივების ზრდა	402.4	6780.3	6537.8	96%	205.2	5060.8	3791.4	75%
ვალდებულებების კლება	98.0	98	97.9	100%	111.9	111.9	111.1	99%
ნაშთის ცვლილება	0	3109.1	1758.2		0	1350.9	-715.6	

2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმა შესრულდა 105%-ით, მათ შორის სხვა შემოსავლების გეგმა - 126%-ით. არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულდა 110%-ით. რაც შეეხება გადასახდელების გეგმას, იგი შესრულდა 96%-ით. შედეგად დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ნაშთის ცვლილებამ, ნაცვლად 3109.1 ათასი ლარისა შეადგინა 1758.2 ათასი ლარი.


2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულდა 101%-ით. გადასახადების, გრანტების და არაფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული თანხები გეგმაზე ნაკლებია, მაგრამ სხვა შემოსავლების მუხლი შესრულებულია გადაჭარბებით - 134%-ით, რომლის ხარჯზეც შემოსულობების გეგმა შესრულდა. რაც შეეხება გადასახდელების გეგმას, მისი მაჩვენებელი შესრულდა მხოლოდ 85%-ით. მათ შორის ხარჯების მუხლი 91%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 75%-ით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაშთი, დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული 1350.9 ათასი ლარით შემცირების ნაცვლად გაიზარდა 715.6 ათასი ლარით, რაც მიაწინებს წლიური ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაზე.

ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გაწეული ხარჯები განაწილდა შემდეგი თანაფარდობით:

დიაგრამა 1: ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში



როგორც დიაგრამიდან ჩანს ხარჯების ყველაზე მნიშვნელოვანი პროცენტული წილი მოდის: „დასვენება, კულტურა და რელიგიაზე“ - მთლიანი ხარჯის 23%, „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება“ - მთლიანი ხარჯების 21%, „ეკონომიკური საქმიანობა“ - მთლიანი ხარჯის 20%. ყველაზე ნაკლები თანხებით ფინანსდება „თავდაცვა“ - 1%, „საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ - 2% და ჯანმრთელობის დაცვა - 1%.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

პრიორიტეტების დოკუმენტი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ და მის შედგენაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო პრიორიტეტების დოკუმენტს, ბიუჯეტის პროექტთან ერთად, წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 საბიუჯეტო წლების განმავლობაში პრიორიტეტების დოკუმენტები შედგენილი არ არის. ასევე არ არის გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი, რომელშიც უნდა განისაზღვროს პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აქედან გამომდინარე საბიუჯეტო პროცესში არ არის განხორციელებული ის

პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია პრიორიტეტების დოკუმენტთან და განსაზღვრულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით.

ის ფაქტი, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში პრიორიტეტების დოკუმენტი შედგენილი არ არის, მიანიშნებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული საშუალოვადიანი განვითარების გეგმა და სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც უნდა დაიგეგმოს ყოველწლიური ბიუჯეტი. აღნიშნული ფაქტი, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა უარყოფითად აისახოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურობაზე.

ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების ცალკეულ პროგრამებში გათვალისწინებულია „გაუნაწილებელი სახსრების“ მუხლი. აღნიშნულ მუხლში გაწერილია თანხები, რომლითაც უნდა დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის გარკვეული მიმართულებები, მაგალითად გზების მშენებლობა, თუმცა არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა პროგრამა და ღონისძიება უნდა დაფინანსდეს და რა მოცულობით.

2013 წლის ბიუჯეტში „გაუნაწილებელი სახსრები“ გათვალისწინებული იყო ასევე ბინათმშენებლობის მუხლიც. 26 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა 28,5 ათას ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლიდან წლის განმავლობაში მოხდა მხოლოდ 4,4 ათასი ლარის განაწილება 25 ნოემბრის ბიუჯეტის ცვლილების შესაბამისად, ხოლო დარჩენილი 24,1 ათასი ლარი გაუნაწილებელ ნაშთად დარჩა წლის ბოლომდე.

ანალოგიურად, 2012 წლის ბიუჯეტის 27 იანვრის ცვლილებით საგზაო ინფრასტრუქტურის მუხლში „გაუნაწილებელი სახსრების“ სახით გაწერილია 265 ათასი ლარი, რომელიც წლის განმავლობაში ეტაპობრივად მცირდება.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ 2012-2013 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო პროცესის წარმართვისას ბიუჯეტის

გადასახდელების დაგეგმვა ხორციელდება გარკვეული ხარვეზებით. კერძოდ, დაგეგმვის პროცესის სწორად წარმართვის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარ დაიგეგმოს ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელების აუცილებლობა მუნიციპალიტეტის წინაშე დგას და შესაბამისად ასახულ იქნას ბიუჯეტში. დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ბინათმშენებლობის მუხლით გათვალისწინებული თანხებიდან აუთვისებელი დარჩა 24,1 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის 25 იანვრის ცვლილების განმარტებითი ბარათის მიხედვით ფულადი სახსრების თავისუფალი ნაშთის განაწილების გამო გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, მათ შორის „გზების მოვლა-ექსპლუატაციის“ ხარჯი 614,6 ათასი ლარით, იმის დაზუსტების გარეშე, კონკრეტულად რა სამუშაოები უნდა დაფინანსებულიყო. აღნიშნული თანხა ბიუჯეტში აისახა გზების „გაუნაწილებელი სახსრების“ მუხლში. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად განსაზღვრავდა იმ სამუშაოებს, რომელიც უნდა განხორციელებულიყო და „გაუნაწილებელი სახსრების“ მუხლში არსებული თანხა შესაბამისად მცირდებოდა. მაგალითად: 2013 წლის 16 სექტემბერს, საარჩევნო კოდექსის გვერდის ავლით, ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, გზების მშენებლობაში არსებული „გაუნაწილებელი სახსრების“ ნაშთი შემცირდა 49,6 ათასი ლარით. აღნიშნული თანხით დაფინანსდა სოფლისა და ნაწილობრივ ქალაქის გზების მოხრეშვის სამუშაოები. 2013 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით „გაუნაწილებელი სახსრები“ სრულად იქნა ათვისებული.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ხარჯებში „გაუნაწილებელი სახსრების“ მუხლის არსებობა ეწინააღმდეგება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“³ განსაზღვრულ ყოვლისმომცველობის პრინციპს, რომლის თანახმადაც ყველა გადასახდელი სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამის ბიუჯეტში.

მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო ხარჯების დაგეგმვისას, წინასწარ განსაზღვროს და ბიუჯეტში ასახოს ის პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წლის განმავლობაში.

³ მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“⁴ მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები და ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 დადგენილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოეყო 1 144.1 ათასი ლარი. განკარგულება მუნიციპალიტეტს გადაეგზავნა და კანცელარიაში გატარებულია 2012 წლის 6 თებერვალს, ხოლო აღნიშნული ტრანსფერის ბიუჯეტში ამსახველი ცვლილება მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა 2012 წლის 23 აპრილს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოეყო 800 ათასი ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული განკარგულება მუნიციპალიტეტს გადაეგზავნა და კანცელარიაში გატარებულია 2012 წლის 25 იანვარს, მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განხორციელებული ბიუჯეტის ცვლილება საკრებულოს წარუდგინა 2012 წლის 23 აპრილს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულებით მუნიციპალიტეტს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 16.0 ათასი ლარი წარმომადგენლობითი ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნული განკარგულება მუნიციპალიტეტს გადაეგზავნა და კანცელარიაში გატარებულია 2012 წლის 13 სექტემბერს, ხოლო გამგეობამ აღნიშნული თანხის ადგილობრივ ბიუჯეტში ამსახველი ცვლილება საკრებულოს წარუდგინა 2012 წლის 19 ოქტომბერს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით,

⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილი

ტრანსფერის ბიუჯეტში დაგვიანებით ასახვა გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ გამოყოფილი ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია მიიღეს 13 სექტემბერს, ხოლო ამ თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში ვერ მოახერხებდნენ ბიუჯეტში ასახვას საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის გამო. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება იმის შესახებ, იყო თუ არა მუნიციპალიტეტი გამოყოფილი ტრანსფერის შესახებ ინფორმირებული 13 სექტემბრამდე.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ადგილობრივ ბიუჯეტში ასახა და შესაბამისი ცვლილებების პროექტები წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა დაგვიანებით. კერძოდ, არ იქნა დაცული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული 1 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები უნდა ასახოს ბიუჯეტში და შესაბამისი ცვლილებები წარუდგინოს წარმომადგენლობით ორგანოს.

ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვები

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“⁵ თანახმად ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ 2012-2013 წლებში წარდგენილ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვებში ფაქტობრივი შესრულებები შედარებულია წლიურ გეგმებთან და არა შესაბამისი პერიოდის გეგმურ

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლი

მაჩვენებლებთან, როგორც „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა“ გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე 2012-2013 წლების კვარტალური მიმოხილვები არ იძლევა ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას.

2013 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა 2013 წლის 2 აგვისტოს, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ გათვალისწინებული ერთ თვიანი ვადის დარღვევით.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“⁶ თანახმად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ორგანიზაციული კოდექსის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს.

2012-2013 წლების ბიუჯეტებში სხვადასხვა ორგანიზაციულ კოდექსში დაფიქსირდა დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობები.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების მიხედვით:

- ✓ 0300 ორგანიზაციულ კოდში (შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება) დაზუსტებულმა ასიგნებამ 173.9 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივად დაფინანსდა 105.7 ათასი ლარით (60%-ით);
- ✓ 0511 ორგანიზაციულ კოდში (წყალმომარაგება) დაზუსტებულმა ასიგნებამ 49.6 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 31.0 ათასი ლარი (63%);
- ✓ 0803 ორგანიზაციულ კოდში (ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულთა დახმარება) დაზუსტებული ასიგნება იყო 78.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად დაფინანსდა 43.9 ათასი ლარით (56%);

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების მიხედვით:

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის „დ“ პუნქტი

✓ 0301 ორგანიზაციულ კოდში (სოფლის მეურნეობა) დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 11.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად აღნიშნული მუხლით ხარჯი არ გაწეულა;

✓ 030303 ორგანიზაციულ კოდში (ბინათმშენებლობა) დაზუსტებული გეგმა 79.3 ათასი ლარი შესრულდა 49.9 ათასი ლარით (63%);

✓ 030305 ორგანიზაციულ კოდში (გარე განათება) დაზუსტებული გეგმა 100.1 ათასი ლარი შესრულდა 50.7 ათასით (51%).

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები არ მოიცავს განმარტებას იმის შესახებ, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში თუ რით იყო განპირობებული დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობები.

კანონმდებლობის⁷ თანახმად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“⁸ ორგანული კანონის თანახმად საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასება, ასევე საბიუჯეტო პროგრამების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საკრებულოს წარუდგინა 2013 წლის 15 იანვარს, ხოლო საკრებულომ 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო დავგიანებით - 2013 წლის 30 მაისს¹⁰. გადაწყვეტილების თანახმად ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები.

⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლი

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკრებულოს წარუდგინა 2014 წლის 24 იანვარს. ანგარიშის მიხედვით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაზუსტებული გეგმა შესრულდა 85%-ით (ნაცვლად დაგეგმილი 13381.1 ათასი ლარისა დაიხარჯა 11385.3 ათასი ლარი), მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმიური მაჩვენებელი მხოლოდ 75%-ით (ნაცვლად დაგეგმილი 5060.8 ათასი ლარისა დაიხარჯა 3791.4 ათასი ლარი). ამასთანავე ანგარიშში არ არის წარმოდგენილი განმარტებები იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ბიუჯეტის შეუსრულებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ შეაფასა 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და არ მიუღია გადაწყვეტილება შესრულების ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

სარეზერვო ფონდი

1. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მიხედვით¹¹ სარეზერვო ფონდის განკარგვას ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგებელი. საფინანსო ორგანო სარეზერვო ფონდიდან თანხებს გამოყოფს გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2012-2013 წლების განმავლობაში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს განკარგავდა მუნიციპალიტეტის საკრებულო, კერძოდ სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოიყოფოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებისა და საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე.

2. 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 13,5 ათასი ლარი საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ასანაზღაურებლად. შპს საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ წარმოადგენს კერძო

¹¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მეორე ნაწილი

სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენს და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

პროგრამული ბიუჯეტი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთულები 2013 წლიდან გადავიდნენ პროგრამულ ბიუჯეტზე, რომლის შედგენაც უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამული ბიუჯეტი არის შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და მისი შეფასების კრიტერიუმები.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“¹² თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა თანხები გაიხარჯა დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების ფარგლებში. შესრულების შესაფასებლად არ არის გამოყენებული პროგრამების შესაბამისი ინდიკატორები და გახარჯული თანხებით მიღწეული შედეგები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტი დამტკიცდა 2012 წლის 20 დეკემბერს, თუმცა იგი ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 2013 წლის 15 ივლისის დადგენილებით და ამავე დადგენილებით დამტკიცებული იქნა ახალი ბიუჯეტი. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ 2012 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტი შედგენილი იყო ძველი ფორმატით.

¹² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის „ვ“ პუნქტი

შრომის ანაზღაურების ხარჯი

საქართველოს კანონის „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით 2012 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

2012 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მიერ, აღნიშნული კანონის მოთხოვნის დარღვევითაა გაზრდილი დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლი. კერძოდ, 2012 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შეადგენდა 863.1 ათას ლარს, რომლის 1/12 არის 72.0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში ეს მუხლი გაზრდილია 393.7 ათასი ლარით¹³, კანონით დაშვებულ ნორმაზე 321.8 ათასი ლარით მეტი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული პრემიის გაცემის წესი, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2012-2013 წლებში პრემიის სახით გაცემულია - 480.2 ათასი ლარი, კერძოდ, 2012 წელს მუნიციპალიტეტის შრომის ანაზღაურების ხარჯმა 1255.4 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 1024.6 ათასი ლარი, ხოლო პრემიის სახით - 230.8 ათასი ლარი (თანამდებობრივი სარგოს 23%).

2013 წელს შრომის ანაზღაურების მუხლით გაიხარჯა 1758.7 ათასი ლარი. მათ შორის თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 1509.3 ათასი ლარი, ხოლო პრემიის სახით - 249.4 ათასი ლარი (თანამდებობრივი სარგოს 17%).

¹³ დაზუსტებული ბიუჯეტით შრომის ანაზღაურების მუხლმა შეადგინა 1256.8 ათასი ლარი, შესრულებამ კი 1255.4 ათასი ლარი.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლის ბიუჯეტებში გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული მთლიანი ასიგნების 2%-ის ფარგლებში.

2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 152 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ხდებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა და ფონდის ზრდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის შესაბამისად. სულ წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 272,5 ათასი ლარი.

2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 120 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა და ფონდის ზრდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის შესაბამისად. სულ წლის განმავლობაში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 164,7 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შემთხვევაში გამოყოფილი თანხა ბიუჯეტში აისახებოდა იმ პროგრამისა და ორგანიზაციული კოდის ასიგნებაში, რომლის დაფინანსებაც მოხდა სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით. შედეგად 2012 წლის 26 დეკემბრის დაზუსტებულ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის მუხლი წარმოდგენილია 33,1 ათასი ლარით, ხოლო 2013 წლის 30 დეკემბრის დაზუსტებულ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნება წარმოდგენილია 33,8 ათასი ლარით. რეალურად აღნიშნული თანხები წარმოადგენს 2012-2013 წლების განმავლობაში სარეზერვო ფონდის მუხლში დარჩენილ აუთვისებელ ნაშთს და არ ასახავს წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდიდან ფაქტობრივად გამოყოფილი თანხის მოცულობას.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:


ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ბარამ ონიანი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:


ირმა ხეცურიანი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი კოხრეიძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი